

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი N 9

ქ. ზუგდიდი

1 ივლისი 2019 წელი

სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე

სხდომა დამთავრდა: 14:30 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე სანდრო სორდია;

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: არჩილ ბერანძე, გოგიტა ზარქუა, ზაზა პროკოპენკო, ამირან ჩხოლარია, მიხეილ ჯობავა, ჯონი ჯიქია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ანა წითლიძე, ზვიად ყორშია.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დავით ჭანტურია.

იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სანდრო სორდიამ სხდომის წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კოსტანტინე კაკავას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი წარმოდგენილ დღის წესრიგს. კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს: სანდრო სორდიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კოსტანტინე კაკავას უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

აზრი გამოთქვას:

სანდრო სორდიამ აღნიშნა შემდეგი: მოგეხსენებათ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კოსტანტინე კაკავა დაინიშნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პოზიციაზე. კოსტანტინე კაკავას მერის მოადგილის პოზიციაზე დანიშვნა შეუთავსებელია საკრებულოს წევრის სტატუსთან, რაც გამომდინარეობს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 42-ე მუხლის „ი“ პუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოსტანტინე კაკავას ვადამდე უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, აღნიშნულ ფაქტს კი ვიღებთ ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა ხომ არ აქვთ განსხვავებული აზრი, შენიშვნა ან წინადადება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა კენჭი ეყაროს წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე: 7 (ერთხმად)

წინააღმდეგი : (არცერთი)

გადაწყვეტეს:

აღნიშნული საკითხი მიღებულ იქნეს ცნობად და დადებით დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა

დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

სანდრო სორდია